საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№15 (6604) 14 აპრილი ხუთშაბათი 1994 წელი

## რაიონის საკრებულოში

# სამშობლოს დაცვა ყველას ვალია

რაიონული საკრებულოს გამგეობამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნის შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

გამგეობაზე აღინიშნა, რომ „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესასრულებლად გარკვეული მუშაობა გაწეული რაიონის სამხედრო კომისარიატისა და ადგილობრივი საკრებულოების გამგეობების მიერ. მიუხედავად შარშან რესპუბლიკაში არსებული რთული პოლიტიკური სიტუაციისა, რაიონიდან რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში გაწვეული იქნა 43 ახალგაზრდა. წვევამდელთა გაწვევის საქმეში შედარებით უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ლაილაშის, ქვედა ცაგერის, ზუბის და ღვირიშის საკრებულოები, აღნიშნულ საქმეს საჭირო პასუხისმგებლობით მოეკიდა სამხედრო კომისარიატთან შექმნილი სამედიცინო კომისია. შარშან რაიონის სამხედრო კომისარიატს ბიუჯეტიდან გაეწია ფინანსური დახმარება, სხვადასხვა სამეურნეო ხარჯებისათვის მოეყო 8509 ათასი კუპონი.

ამასთან გამგეობაზე აღინიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის განხორციელების საქმეში, რაზეც მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ წვევამდელთა გაწვევის შარშანდელი შემოდგომის დავალება შესრულდა მხოლოდ 30 პროცენტით—ნაცვლად 60-სა გაწვეულია 17 ახალგაზრდა „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" კანონის მოთხოვნებს ჯერ კიდევ ვერ პასუხობს რაიონის ზოგიერთი სასოფლო და ქალაქის საკრებულოთა გამგეობების საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ დიდ სასოფლო საკრებულოში შექმნილია სამხედრო მაგიდის საშტატო ერთეულები, ისინი ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, ამ მხრივ საკუთრებით აღინიშნა წიფერჩის, ალპანის და ქალაქ ცაგერის საკრებულოთა სამხედრო მაგიდების (ო. ხეცურიანი, ა. ფრუიძე ბ. მკეულიანი) სრული უმოქმედობა. ანალოგიური მდგომარეობაა ნაკურალეშის, ტვიშის, უსახელოს, ალვის საკრებულოებში. ამ მხრივ არასაკმარისი მუშაობა გასწიეს ლასურიაშის, ოყურეშის, ლუხვანოს, ორბელის საკრებულოებმა.

ნაკლოვანებებია ჭაბუკთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის საქმეში. ქ. ცაგერის, ორბელის, წიფერჩის, ალვის, ალპანის, ოყურეშის საკრებულოთა ტერიტორიაზე მცხოვრები ამ ასაკის ჭაბუკთა რაოდენობის 40—50 პროცენტი დღემდე არ არიან გატარებული სამედიცინო კომისიაზე და აყვანილი სამხედრო აღრიცხვაზე.

რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის ორგანიზაციის საქმეში რაიონის სამხედრო კომისარიატს სათანადო დახმარებას ვერ უწევენ რაიონის სამართალდამცავი ორგანოები.

რაიონული საკრებულოს გამგეობამ „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" რესპუბლიკის კანონის მოთხოვნების შესრულებისათვის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ გაწეული მუშაობა ჩათვალა არასაკმარისად, ხოლო წიფერჩის, ალპანის, ქ. ცაგერის, ტვიშის, უსახელოს, ალვის საკრებულოების გამგეობებისა—არადამაკმაყოფილებლად, რისთვისაც აღნიშნულ საკრებულოთა გამგებლებს გ. ჩარკვიანს; თ. ბურჯალიანს, გ. ყურაშვილს, შ. გოდოლაძეს, ა. თვარაძეს გამოეცხადა საყვედური.

გამგეობამ დაავალა წიფერჩის, ალპანის და ქ. ცაგერის საკრებულოთა გამგებლებს უახლოეს დღეებში განიხილონ შესაბამისი სამხედრო მაგიდის მუშაკების სამსახურებრივი მიზანშეწონილობის საკითხი და გადაწყვიტონ სამხედრო კომისარიატთან შესაბამისობაში.

შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას დაევალა ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინონ სამხედრო კომისარიატს სამხედრო სამსახურში და სასწავლო შეკრებებზე მოქალაქეთა გაწვევაში, გააქტიურონ მუშაობა იმ პირთა ძებნაში, რომლებიც თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას.

დროულად ჩატარდეს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ 1977 წელს და უფროსი ასაკის იმ პირთა აღწერა, რომლებიც არ იმყოფებიან სამხედრო აღრიცხვაზე, რისთვისაც: ქალაქის და სოფლების საკრებულოთა გამგეობებმა, საწარმოებმა და სასწავლო დაწესებულებებმა წარუდგინონ რაიონის სამხედრო კომისარიატს, იმ მოქალაქეთა სიები და საჭირო საბუთები, რომლებიც იქვემდებარებიან სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, ამასთან უზრუნველყონ მათი გამოცხადება სამხედრო კომისარიატში, შედგენილი გრაფიკის მიხედვით:

რაიონის მთავარმა ექიმმა გამოყოს მაღალკვალიფიციური ექიმი—სპეციალისტები სამედიცინო კომისიაში მონაწილეობისათვის სავალდებულოდ, მიიღონ ზომები საჭირო მედიკამენტებით სამედიცინო კომისიის უზრუნველსაყოფად და ხელსაწყოებით საუზრუნველსაყოფად.

საფინანსო განყოფილებას დაევალა გაითვალისწინოს რაიონის სამხედრო კომისარიატის დაფინანსება

# საინფორმაციო თათბირი სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებს მიეძღვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე კვარტალის პირველი დეკადაც დამთავრდა. რაიონის სახალხო მეურნეობა კვლავ დიდ გასაჭირშია. შეიძლება ითქვას, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით საწარმოთა მეტი წილი არ მუშაობს, ვერ ქმნის პროდუქციას. არადა რესპუბლიკაში პროდუქცია რომ არ იქმნება, კუპონს დასაქონლება არ აქვს და იგი უკვე გაუფასურდა.

რაიონის ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს მიეძღვნა 11 აპრილს რაიონის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გამართული წარმოება—დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და სხვა აქტივის საინფორმაციო თათბირი.

თათბირს უძღვებოდა რაიონის გამგეობის თავმჯდომარე **კარლო მუშკუდიანი.**

თათბირზე ინფორმაციებით გამოვიდნენ სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **შერაგი ყვიციანი**, მანქანა—ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს უფროსი **მერაბ იავეტაძე**, „სამტრესტის" ცაგერის ღვინის ქარხნის დირექტორი **ტარიელ გუკავა**, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე მერაბ ყურაშვილი, საგზაო სამმართველოს უფროსი **ოლეგ გიორგობიანი** 23—ე საგზაო სამმართველოს უფროსი **რევაზ ყურაშვილი**, რაიონის მთავარი არქიტექტორი **კარლო კვირკაშვილი**, განათლების განყოფილების გამგე **გურამ ხმელიძე**, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **ოტელო მდივანი**, პურკომბინატის დირექტორი **მერაბ გოგიძე**, პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი **ჯიბილო მიქაძე**, საქალაქო საკრებულოს გამგებელი **გურამ ყურაშვილი**, რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე **ნაილი ფუტკარაძე**, რაიაფთიაქის გამგე **ნათელა ცხვედიანი**, რაიონის პროკურორი **ავთანდილ** მაღრაძე და სხვა.

თათბირზე აღინიშნა, რომ წელს გაზაფხულმა გაუმართლა მშრომელ კაცს. საუკეთესო ამინდებია, მაგრამ, სამწუხაროდ დღემდე ტრაქტორებს არცერთი კვალი არ გაუტანიათ საწვავის არქონის გამო. არადა თითოეულ სოფელში შემორჩენილი ორი—სამი ეულლი ხარით როგორ დაიხვნება 1000 ჰექტარზე მეტი ფართობი. თანხა გადარიცხულია, მაგრამ საწვავი ფიზიკურად არ არის

დასასრული მე—2 გვერდზე

# შეხვედრები სოფლად

დღეს რესპუბლიკის ცხოვრებაში მწვავე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური კრიზისია. ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობას უკიდურესად უჭირს. შეფერხებულია პურით, შაქრით, სამრეწველო საქონლით თუ სხვა პროდუქტებით მომარაგება, ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენს რაიონშიც, რის გამოც მოსახლეობა დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს.

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით რაიონში მოხდა საკადრო ცვლილება, რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა კარლო მუშკუდიანი.

4 აპრილს კარლო მუშკუდიანმა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების და სხვა აქტივის მონაწილეობით მოაწყო რაიონის სოფლებში გამსვლელი მიღებები. შეხვდნენ ტვიშის, ალპანის, ღვირიშის, ორბელის საკრებულოების, ლაჯანურჰესის დირექციის თანამშრომლებს, ტვიშის საშუალო სკოლის პედაგოგებს და სხვ.

შეხვედრებზე მშრომელებმა მადლობა მოახსენეს რაიონის ხელმძღვანელს ამ ღონისძიებისათვის, სადაც საშუალება მიეცათ ელაარაკათ სხვადასხვა მტკივნეულ საკითხებზე.

ტვიშის საშუალო სკოლასა და საკრებულოში შეხვედრისას აღინიშნა, რომ რაიონის ყველა ხელმძღვანელი რგოლისაგან მიტოვებულია ეს რეგიონი, რაიონულ ცენტრსა და ტვიშს შორის არ მუშაობს რაიმე სახის ტრანსპორტი, ვერ მარაგდებიან კვების პროდუქტებით, არ მიმდინარეობს მიწის პრივატიზაცია, დაგვიანებით იღებენ ხელფასებს პედაგოგები, ასევე დიდი დაგვიანებით იცემა პენსიები, ზოგიერთ პენსიონერს შარშანდელი პენსიაც მიუღებელი აქვს, შეფერხებებით მუშაობს ტელეფონი. სამართალდამცავი ორგანოების უყურადღებობის შედეგად რეგიონში მოხდა მკვლელობა, ხშირია ქურდობები და სხვა დანაშაულობები.

დასასრული მე—2 გვერდზე

# საინფორმაციო თათბირი

## სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებს მიეძღვნა

დასასრული.

ბაზებში. ამას ისიც ემატება, რომ ზოგან ტრაქტორებიც არ არის მზა მდგომარეობაში. არის იმის ფაქტებიც, რომ ტრაქტორის ძრავები თვით ნებურად ამოიღეს და ავტომანქანებზე გადაიტანეს. გვიანდება შხამ-ქიმიკატების, შაბიამნის შემოტანა და მოსახლეობისთვის მოწოდება, არადა ნაადრევი გაზაფხულის გამო ორ კვირაში ვენახები შესაწამლი იქნება.

არაორგანიზებულად მიმდინარეობს მიწის პრივატიზაცია, სოფლად ზოგიერთი ოჯახი 2—3 ჰექტარ ფართობს ფლობს, ზოგს სრულებით არ აქვს, განსაკუთრებით გაჭიანურდა მიწის ფართობის გამოყოფა ქ. ცაგერის მოსახლეობისათვის.

თათბირზე ხაზი გაესვა იმას, რომ დარღვევებია ტყით სარგებლობის საქმეში მოსახლეობა მასიურად ანადგურებს ტყეებს, ხოლო ტყის დაცვის მუშაკები მათ მიმართ არ ატარებენ გადამჭრელ ზომებს. კრიტიკული პრობლემებია რაიონში კაპიტალური მშენებლობის ხაზით. ყველა დაწყებული მშენებლობა მიტოვებულია და რაც აშენდა, ინგრევა. მოითხოვეს რაიონული საავადმყოფოს, 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლის და ყურძნის გადამამუშავებელი ფაბრიკის შენობების მშენებლობის განახლება იმ მიზნით, რომ დაიხუროს მაინც, თითქმის გაძარცვულია ... ობიექტი, დანაგვიანებულია ქალაქის ქუჩები, ... დაწესებულებათა მიმდებარე ტერიტორიები და ეზოები. კომუნალურ საწარმოთა კომბინატს საწვავიც კი არ აქვს მისი გატანისათვის, ამიტომ დაისვა საკითხი, რომ ... წარმოება-დაწესებულებამ თვითონ იზრუნოს მიმდებარე ტერიტორიისა და ეზოების დასუფთავება-გატანისათვის.

ბევრი ნაკლია კავშირგაბმულობის სისტემაში. შე...ბა ითქვას კვირაობით თაა დაზიანებული, ზოგიერთ სოფელთან დამაკავშირებელი სატელეფონო ხაზი. ზოგიერთ სოფელში ...ებიც კი მოიპარეს, მაგრამ დღემდე ამ ქმედებისათვის არავის უგია პასუხი. გვიანდება რაიონში ...ის შემოტანა და სოფლად გავრცელება.

თათბირზე მაინც მთავარი ყურადღება დაეთმო ..., რომ რაიონში კვლავ ...ვდა კრიმინოგენური მდგომარეობა, იმატა ყაჩაღობამ, ქურდობამ და ... დანაშაულობებმა, ... გახსნის პროცენტი ...ბალია. მოითხოვეს საზ...ებრიობის მეტი მხარდაჭერა სამართალდამცავი ორგანოებისადმი.

თათბირის მთელ მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა, ის, რომ ეყო ადამიანებს ამდენი ეკონომიკური გაჭირვება, ქურდობა, ძარცვა, საჭიროა ამოქმედდეს მოწოდებული ...ახიზაციები, მათი ხელმძღვანელები, დარაზმონ მშრომელები იმისათვის, რომ მიმდინარე წელი გადაიქცეს ყოველმხრივ გარდატეხის წლად.

# შეხვედრები სოფლად

(დასასრული).

ანალოგიური საკითხები დააყენეს სხვა საკრებულოებისა და დაწესებულებათა მუშაკებმაც, ყველგან მოითხოვდნენ პურითა და სხვა პროდუქტებით მომარაგებას ხოოძის ფარგლებში, ბრძოლას დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებას და სხვა საკითხების გადაწყვეტას.

ამასთან ადგილებზე მისვლისას გამოვლინდა, რომ ზოგიერთი საკრებულოს გა...ელი თუ სხვა პასუხისმგებელი მუშაკი სისტემატურად აცდენს სამუშაო საათებს, თვითნებურად მიდის რაიონს გარეთ. არ ზრუნავს რეგიონში შემავალი სოფლების მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებისათვის, მოუწესრიგებელია სოფლის ცენტრები, არ იცავენ სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს, რის შესახებაც კონკრეტულად მიეთითათ.

ლაჯანურჰესის ცაგერის სათაო ნაგებობას კაშხალის მარჯვენა სანაპიროს 20—25 მეტრზე გამოთხრილი აქვს ბეტონის კედელი, წყალდიდობისას საფრთხე ექმნება ქალაქ ცაგერს.! მიუხედავად რამდენჯერმე თხოვნისა „საქმთავარენერგოს" ხელმძღვანელის განკარგულებისა, რითაც მისი შეკეთება დავალებული აქვს ლაჯანურჰესის დირექციას, ამ მიმართებით დღემდე არაფერი გაკეთებულა, რაზეც კონკრეტულად იყო მსჯელობა შეხვედრისას.

რაიონის საკრებულოების მიხედვით ასეთი გამსვლელი შეხვედრები კვლავ მოეწყობა, კვლავ გაიმართება გულახდილი დიალოგები, დასმულ საკითხებს კი რაიონის ხელმძღვანელთა გააქტიურებული ზრუნვა და ყურადღება არ მოაკლდება.

# მოვეფეროთ მარტოხელებს

ყველა მარტოხელა, მარტომცხოვრებს შევუმსუბუქოთ ცხოვრების ქარტეხილით, ასაკით თუ ავადმყოფობით გამოწვეული ყოფის სიმძიმე—ესაა ამ რამდენიმე თვის წინ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან შექმნილი ახალი სამსახურის—სოციალური დახმარების განყოფილების მიზანი, რომლის საქმიანობას საფუძვლად დაედო ადამიანური მოვალეობის მაღალი შეგნება.

ცხოვრებაში მარტოდ დარჩენილი, შრომისუუნარო ადამიანების დახმარება და ყურადღების მაქსიმალური გამოვლინება, უდიდესი ჰუმანიზმია, მივიდეთ ამ ადამიანებთან, მოვიკითხოთ, მარტოობა არ ვაგრძნობინოთ, დავეხმაროთ, ზრუნვა და ყურადღება არ მოვაკლოთ, —აი ეს ამოძრავებთ სტატიან სოცმომსახურეებს, რომლებიც ამ განყოფილებაში არიან დასაქმებული. ისინი განსაკუთრებული ადამიანური სითბოთი და ყურადღებით, ადამიანებთან ურთიერთობის უნარით, მაღალი მორალური თვისებებით უნდა იყვნენ დაჯილდოებულნი, რომ შეძლონ სისტემატურად, კვირაში 2—3-ჯერ, საჭიროების შემთხვევაში ყოველდღიურადაც მოინახულონ მარტოხელები, გაამხნევონ, სამედიცინო შემოწმების მიზნით გამოიძახონ ექიმი, მიაწოდონ წამალი და ის სასურსათო პროდუქტები, რაც მათთვის უახლოეს სავაჭრო ობიექტშია გამოყოფილი, ხელი შეაშველონ მათ საოჯახო საქმიანობაში, ზამთრისათვის სათბობის შეძენაში და სხვა.

ზრუნვა და ყურადღება გააქტიურებს მათ ძალებს, შესაძლებლობებს, ხალისიანს და ძინაარსიანს გახდის მათ ცხოვრებას. უნდა აღვნიშნოთ მათი დაბადების დღეები, მივულოცოთ დღესასწაულები. დავამყაროთ ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან, ... მარტოხელები ... .

მართალია, ... სამსახური ჯერჯერობით ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ უკვე გადაიდგა მარტოხელებზე მზრუნველობის პრაქტიკული ნაბიჯი, ამ მოკლე დროის მანძილზე მარტოხელებს გარკვეული რაოდენობის დახმარება გაუწიეს. რაიონის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრებმა 84-მა მარტოხელამ ფულადი დახმარება, საახალწლოდ კულტურის სახლში ფასიანი კონცერტის შემოსავლიდან გადმორიცხული 376400 კუპონი მიიღო, 60 მარტოხელას დაურიგდა ჰუმანიტარული დახმარების სახით რაიონში წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ფედერაციის მიერ გამოგზავნილი ამანათები, რომელშიც 20 კილოგრამამდე სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტია, თუმცა, აღნიშნული ყუთების მარტოხელებისთვის გაგზავნა იმდენად მოულოდნელი მოეჩვენათ მათ, ვინც დაუმსახურებლად მისი აღების მოლოდინში იყო, რომ სატელეფონო ზარებით დიდ შემოტევად, ახონიმურ ლანძღვა-გინებადაც კი დაგვიჯდა მე და ჩემს ოჯახს.

მართალია, დღეს ყველას უჭირს, იმ ყუთში არსებული პროდუქტების ნაკლებობას ყველა ოჯახი განიცდის, მაგრამ ხომ შედარებითია ყველაფერი და ის, რაც შენთვის იმდენად არსებითს არ წარმოადგენს, როგორც დავრდომილი, შრომისუნარდაკარგული ადამიანისთვის, მოვითმინოთ, თავშეკავება ვიქონიოთ, ერის, ჩვენი თავის არასრულფასოვნების კომპლექსი რომ არ დაგვეუფლოს თითოეულ ჩვენგანს და მთა მომავლობას ცუდი მაგალითის მაჩვენებლად რომ არ მოვევლინოთ.

რაიონის საკრებულოს გამგეობის მიმდინარე წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით რაიონში შექმნილია მარტოხელა, შრომისუნარდაკარგულ მოქალაქეთა, პენსიონერთა, ინვალიდ და მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დახმარების ფონდი ეს კიდევ ერთი საშუალებაა იმისა, რომ განყოფილებამ მეტი დახმარება გაუწიოს მარტოხელებს, ნაკლებად უზრუნველყოფილ პენსიონერებს, ინვალიდებს.

დღევანდელ დუხჭირ და უმძიმეს ყოფაში დახმარება, თანადგომა უბრალო მცნებები არაა, იგი გადარჩენის ტოლფასია, ჩვენც დავეხმაროთ, ხელი შევაშველოთ ერთმანეთს, რომ გადავრჩეთ, არ გადავგვარდეთ და სრულფასოვანი ადამიანის სახე შევინარჩუნოთ.

**პ. ბაკურაძე,**
**ცაგერის რაიონის სოციალური დახმარების განყოფილების გამგე.**

ვინც სამშობლოსთვის მოკვდა

# იცხოვრა, როგორც მამულიშვილმა...

**უმძიმეს და ტრაგიკულ დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა. ცრემლითა და სისხლითაა მორწყული სამშობლოს მიწა, შავი ძაძები აცვიათ დამწუხრებულ დედებს, დაქვრივებულ მეუღლეებს, უნუგეშოდ დარჩენილ ობლებს.**

**არ არსებობს სიტყვა, რომ შეძლოს ამ ტკივილის და ჭრილობების მოშუშება..**

**თუ სანუგეშო სიტყვა არსებობს, ეს ალბათ, ის არის, რომ დღეიდან თქვენი ოჯახი საქართველოს იმ წმინდა და გმირულ ოჯახთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც საკუთარი! შვილების სიცოცხლის ფასად იცავენ ერს და მამულს, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას..**

ეს სტრიქონები იმ მადლობის წერილიდანაა, რომელიც აფხაზეთის ომში დაღუპული ავთო კოპალიანის ოჯახმა მიიღო სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისაგან. ავთო კოპალიანს კარგად იცნობდნენ საქართველოს ამ ძირძველ მხარეში. იგი აფხაზეთის მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მიუხედავად ამ მოძრაობის ყოვლად მშვიდობიანი ხასიათისა, მან ერთ-ერთმა პირველმა აიღო იარაღი სეპარატისტთა მიერ შემოსეული ხროვისაგან სამშობლოს დასაცავად. და თუმცა უცოლშვილოდ გადაეგო, იცხოვრა, როგორც მამულიშვილმა და მოკვდა, როგორც გმირი. ამას არასოდეს დაივიწყებს ერი, რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის პატივს მიაგებს მის ხსოვნას რადგან მამულს შეწირული სული ანთებულ ლამპარს ჰგავს. იგი მარად ანათებს ქვეყნის ბნელს და წყვდიადს, ვერარა ბოროტება ვერ შემუსრავს მის ბრწყინვალებას. ეს უკვდავებაა, რომლის დამკვიდრება ყველას არ ძალუძს. მხოლოდ ბედნიერთ ხელეწიფებათ მასში გადასვლა. ავთო კოპალიანსაც ეს არგუნა განგებამ.

მას არ შეეძლო ზოგიერთივით დამალვა მაშინ, როცა საფრთხე მთელ ქვეყანას ემუქრებოდა, როცა გადამთიელის ჩექმა თელავდა ქართველის ნაშენსა და ნაოცნებარ ქალაქებს, როცა პირუტყვულ ვნებებს ეწირებოდა უმფარველოდ დარჩენილი ქალების და ქალწულების ნამუსი და უმანკოება, როცა აკვანშივე ხოცავდნენ ჩვილებს ქართველობის გამო.

მას არ შეეძლო...

**„სისხლით და ცრემლით იწერება ახალი დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს ისტორია. მკვდარი არ ეთქმის იმას, ვინც სამშობლოსათვის მოკვდა".**

...ეს სტრიქონებიც ზემოთხსენებული წერილიდანაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სანთელი

# მამას ჯერაც ცოცხალი ჰგონია მისი ბოკვერები

სოხუმის მახლობელ, ერთ ლეჩხუმურ სოფელ კელასურში დაიბადნენ და გაიზარდნენ ძმები კახა და გოგი კოპალიანები, კაცთმოყვარე ბიჭებს უსაზღვროდ უყვარდათ სიცოცხლე, მეგობრები და არასდროს წარმოიდგენდნენ რომ გუშინდელი მოძმე მტრად გაუხდებოდათ, საკუთარი მიწის დასაცავად იარაღის ხელში აღება დასჭირდებოდათ.

ვერ აიტანა უსამართლობა და პირველად 18 წლის კახას გაუწია გულმა ფრონტისაკენ, უშიშარი და შეუპოვარი მებრძოლი იყო, უკან არ იხევდა და ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულებისას ეშერაში მძიმედ დაიჭრა. სასწრაფო ოპერაცია სოხუმის საავადმყოფოში გაუკეთეს, მშობლებმა სამი დღის შემდეგ ინახულეს სიკვდილთან მებრძოლი ბიჭი. ბიძამ თბილისში გადააფრინა! და კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, სამი თვის შემდეგ თუმცა პირველი ჯგუფის ინვალიდი, მაგრამ ცოცხალი ოჯახს დაუბრუნდა კახა.

უფროსმა ძმამ გოგიმ სკოლა დაამთავრა და დაოჯახდა კიდეც, სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი, ამავე ინსტიტუტის ფოტო-კინო ლაბორატორიაში მუშაობდა. იგი მე-2 ბატალიონის მებრძოლი იყო. აგვისტოში, როცა ხელი მოაწერეს საშვიდობო ხელშეკრულებას, ყველამ შვებით ამოისუნთქა, განახლდა სწავლა, ლტოლვილები საკუთარ მიწას უბრუნდებოდნენ და აი მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. აფხაზურმა მხარემ დაარღვია საშვიდობო ხელშეკრულება და 16 სექტემბერს კვლავ განახლდა მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა. ში[illegible]როება ელოდა სოფელ კელასურს. ახლა გოგის და კახას მშობლიური სოფელი იყო დასაცავი. პირველი ჯგუფის ინვალიდი კახა იარაღით ხელში დადგა თანასოფლელთა გვერდით. მალე სოფლის ევაკუაცია გამოცხადდა. მშობლებს შვილებთან ერთად უნდა დაეტოვებინათ სოფელი. იმ დროს, როცა გამოსასვლელად ემზადებოდნენ კოპალიანების სახლს მოხვდა ჭურვი. ბეჭში დაიჭრა კახა, დედა კი ფეხში. დედას [illegible]ვა არ შეეძლო, კახა კი იქაურობას გაეცილეს ძმამ და ბიძამ სამშვიდობოს გაიყვანეს, დაჭრილს გვერდით არ სცილდებოდა და უვლიდა თანასოფლელი ექიმი თენგიზ მამარდაშვილი.

ვინ იცის რა წამება არ გადახდათ ალყაში მოხვედრილ გოგის და კახას მშობლებს ტყეში გახიზნულ, დაჭრილ დედას, დაჭრილ შვილზე. კახაზე ფიქრი არ ასვენებდა.

30 სექტემბერს შვეულმფრენს ლტოლვილები ქუთაისში გადმოჰყავდა, ხალხით გადატვირთულ შვეულმფრენში გზაზე დამდგარი ძმები კოპალიანებიც იყვნენ, საბედისწერო გამოდგა რეისი, უბედურებას უბედურება დაემატა, აფრენიდან 10 წუთის შემდეგ შვეულმფრენი კლდეს შეეჯახა და ცეცხლმოკიდებული ხევში ჩავარდა. ბევრი ისე დაიფერფლა, რომ საფლავი არ ღირსებია, ბევრი კი „გადარჩა", კახა და გოგი კოპალიანები ახლობლებმა კაკო კალანდაძემ და მისმა ძმებმა ქუთაისიდან ცაგერში ამოასვენეს.

ცაგერის სასაფლაოს ჭიშკრის შესასვლელში არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეთ ერთმანეთის გვერდით დაკრძალული, გაბროზე ამოკვეთილი, ლამაზი გარეგნობის ჯერაც დაუვაჟკაცებელი ბიჭების სახეები. აქ კელასურელი ძმების გოგი და კახა კოპალიანების საფლავია.

კელასურში გადარჩენილ მამას ჯერაც ცოცხალი ჰგონია მისი ბიჭები, დედამ კი ხუთი თვის შემდეგ გაიგო, რომ შვილები აღარ ჰყავდა და როგორც იქნა ჩამოაღწია ცაგერში.

წყეულიმც იყოს ომი. დადის საფლავზე ომში დაღუპული შვილების დედა, ახალგაზრდა შავით მოსილი ქალი და თითქოს ბედნიერადაც კი თვლის თავის თავს, რომ სულაც საფლავის გარეშე არ გადაეგენ მისი ბიჭები.

გაზაფხულზე, ბუნების ფერისცვალობისას იყვნენ დაბადებული ბიჭები, გოგის 4 თებერვალს 22 წელი შეუსრულდებოდა კახას კი 18 აპრილს უნდა გადაეხადა 20 წელი.

ღმერთო, ნათელს ნუ მოაკლებ სამშობლოსთვის დაღუპულ, ზნემაღალი და მშობლიური მიწა-წყლის კეთილდღეობით ანთებული ბიჭების სულს.

**ჯ. მანდარია.**

## სკოლა და ცხოვრება

# ყველას საზრუნავი

ჩვენი ყოფის პრობლემები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყოველდღიურობაშიც აისახა. თუ როგორ მიმდინარეობს არსებულ პრობლემათა ფონზე სწავლა-აღზრდის პროცესი, გვესაუბრება ცაგერის საშუალო სკოლის დირექტორი **მანანა [illegible]**:

სკოლა, რომელიც მოწოდებულია მოზარდს მისცეს არა მარტო მეცნიერული ცოდნა, არამედ აღზარდოს როგორც მოქალაქე, მტკივნეულად ვერ ეგუება იმ სულიერი თუ მატერიალური საზრდოს დეფიციტს, რაც აუცილებელია ბავშვის სწავლებისა და აღზრდის ნორმალურად წარმართვისათვის. დღეს კი სკოლას დაფაზე დასაწერი ცარცი არა აქვს. არ იყიდება, ან თუ იყიდება საკმაოდ ძვირია ფანქარი, რვეული, ავტოკალამი. არ არის საკმარისი რაოდენობის სასწავლო წიგნები, ახალი სახელმძღვანელოების გამოცემაც საჭირო რაოდენობით ვერ ხერხდება. მოძველებულია თავად სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც, შენობისათვის საჭირო მცირე ზომის მინებიც ვერ გვიშოვნია.

და მაინც ზემოთჩამოთვლილი პრობლემების მიუხედავად პირველ რიგში პედაგოგთა სავალალო სოციალური მდგომარეობა მოითხოვს მოწესრიგებას, არსებული ფასების ფონზე ჩვენი შრომის ანაზღაურების ფასად მიღებული კუპონებით ვერაფერს ვიძენთ; მით უმეტეს ამ ბოლო ხანს ბაზარშიც თუ კომერციულ ჯიხურებში მხოლოდ რუსული მანეთით ვაჭრობენ, ჩვენთან კი ფულის ნიშნების გადაცვლის პუნქტები არ არსებობს. სასურველია შემნახველ ბანკებთან გაიხსნას ასეთი პუნქტები, რაც გაგვიადვილებს კუპონის რუსულ მანეთზე გადაცვლას, თორემ რა გამოდის, ამ გაუფასურებული კუპონებით წამალსაც ვერ ვყიდულობთ. ვიცით, რომ ჩვენს ყოფაში სხვაცაა, მაგრამ თავად შეჭირვებულ პედაგოგს, საკლასო ოთახშიც რომ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი მოზარდები ხვდებიან, ორმაგად აწევს გაჭირვების უღელი. რადგანაც ნამდვილი პედაგოგი აღსაზრდელთა ტკივილების მოზიარეცაა. მაგრამ თანაგრძნობასთან ერთად ჩვენს პატარებს პრაქტიკული დახმარებაც სჭირდებათ. თუ კი ჰუმანიტარული დახმარებიდან გამოყოფენ წამლებს, პროდუქტებს, მათ ჩვენ ავადმყოფ ბავშვებს გავუნაწილებთ.

მოსწავლისათვის პედაგოგის საქციელი გადამდებია, ამიტომაც ჩვენც აღსაზრდელებთან ერთად გავუწიეთ დახმარება აფხაზეთიდან ლტოლვილებს, კერძოდ, შევაგროვეთ საკვები პროდუქტები, სასწავლო ნივთები. მინდა აღვნიშნო მე-8-ა კლასის მოსწავლეთა შესახებ, ისინი საკუთარი ინიციატივით შეგროვებული ფულადი თანხით დაეხმარენ ინვალიდ თანაკლასელს.

მთავარი მაინც ერთია, ნებისმიერ პირობებში სკოლამ უნდა იზრუნოს მოზარდთა მეცნიერული განათლებისათვის. აქედან გამომდინარე უმთავრეს ყურადღებას ვუთმობთ სწავლების ხარისხს. დღევანდელ სიტუაციაში პედაგოგს გაცილებით მეტი ენერგია, შემოქმედებითი უნარი სჭირდება მოსწავლეთა მისაზიდად. რეალობაა, რომ ბავშვის ნებისყოფა ვერ უძლებს გაუმკლავდეს საზოგადოებაში არსებულ აზრს — ცოდნის გარეშეც მიიღებ უმაღლესის დიპლომსო. ამ აზრს ამკვიდრებს მომრავლებული ფასიანი სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტური კონტიგენტი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეათე კლასებში მისაღები გამოცდების შედეგმა საშუალება მოგვცა მეათე—მეთერთმეტე კლასებში მიგვეღო კარგად მომზადებული მოსწავლეები, მეათეკლასელთა ნაწილი სწავლობს ქიმია-ბიოლოგიის გაძლიერებული სწავლების კლასში. მიმდინარე სასწავლო წელს უფროსკლასელებმა წარმატებებს მიაღწიეს რაიონულ საგნობრივ ტურებში. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ სასურველია ჩვენს რაიონში არსებობდეს სკოლა-ლიცეუმი. სწავლების ასეთი ფორმა არსებობს რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქში და იქ სწავლების ხარისხი გაცილებით მაღალია.

რა ცვლილებებიც არ უნდა მოხდეს სკოლის ცხოვრებაში, იგი წარმატებით განხორციელდება მხოლოდ მშობელთა აქტიური მონაწილეობით, რადგანაც სკოლისა და ოჯახის როლი ბავშვის აღზრდის პროცესში განუყოფელია. სწორედ, ამიტომაც სკოლაში მოწყობილ მშობელთა საერთო შეკრებებზე ვიხილავთ ყველა პრობლემურ საკითხს კონკრეტული ფაქტების საფუძველზე. ამასთან, თვეში ერთხელ სასწავლო კლასებში ტარდება ტრადიციული მშობელთა კრებები, ხდება პედაგოგების მისვლა მოსწავლეთა საცხოვრებელ ბინებში. შედეგიც სასურველია — პირველი სემესტრის მანძილზე არ აღნიშნულა მოსწავლეთა მხრიდან დანაშაულის ფაქტები.

თავად მოსწავლეებს შექმნილი აქვთ მოსწავლეთა თავისუფალი ორგანიზაციები. ეს ორგანიზაციები იქმნება ბავშვების ინტერესების თანხვედრით. ისინი დადიან ეკლესიაში, ეხმარებიან შეჭირვებულებს, იცავენ მშობლიური ენის სიწმინდეს.

და ბოლოს, სკოლა, პედაგოგი საზოგადოების მომავალს ზრდის და ამიტომაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას საზოგადოების ნებისმიერი წევრისაგან.

## მილოცვა

**გვანცა ტარიელის ასულ ქლიბაძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს.
**სალომე და ჯაბა გზოგავები.**

**აზა, ბახვა სალინაძეებს**
გილოცავთ პატარა დოდოს შეძენას. ღმერთმა მისცეს ბედნიერი სიცოცხლე და სამომავლოდ ძმები შემატოს.
**ამზაირ კიზირია, ლევან ნემსწვერიძე, ზურაბ ხმელიძე ოჯახებით.**

**აზა, ბახვა სალინაძეებს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
**ლია, ზაური ახვლედიანები,**
**ნანა, ზურა ხეცურიანები.**

**ლელა იზრანის ასულ მოწონელიძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთი იყოს შენი მფარველი.
**ნათია და მერაბ სილაგაძეები.**

**ნათია ბესიკის ასულ კვენეტაძეს**
გილოცავ დაბადების დღეს.
**თამრიკო ბრეგვაძე.**

**თამილა, გურამ ტვილდიანებს**
გილოცავთ სოფოს ბედნიერებას.
**მადლენა, შოთა ნემსწვერიძეები ოჯახით.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო.
**ცაგერის რაიკოოპერატივის თანამშრომლები.**

**ქეთინო, ბადრი გურგუჩიანებს**
გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და უამრავ სიხარულს.
**ნათლული თამუნა სალინაძე**

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ხათუნა მირმანის ასულ შკუბულიანს
ჯეირან რეზოს ძე ცურცხვალაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

მეგობრები.

---

მერაბი ახვლედიანს, სოფო ტვილდიანს
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

---

ხათუნა შკუბულიანს, ჯეირან ცურცხვალაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. იმრავლეთ, იხარეთ, იბედნიერეთ.

ვახტანგ ასათიანი ოჯახით.

---

ეკა გოდუაძეს, ვალერი სილაგაძეს
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს.

გულნაზი კოპალიანი, გოვი ჭაბუკიანი ოჯახებით.

# გილოცავთ

დათო ჩარხიანს
გილოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა და სიხარული დაგბედებოდეს.

ნესტანი, მაია, ფიქრია ცურჯალიანები.

---

აზა, ბახვა სალინაძეებს
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.

ბუდუ ომანაძე, კობა ბენიძე ოჯახებით.

---

გალინა, რუსიკო, ვალოდია, ლამზირა
იზა დავითულიანებს
გილოცავთ შვილთაშვილის, შვილიშვილის და დისშვილის შეძენას.

ბუდუ ომანაძე, კობა ბენიძე ოჯახებით.

---

ხათუნა, ნური ხეცურიანებს
ნაზიკო, მურთაზ ჩაკვეტაძეებს
გილოცავთ პატარა გიორგის შეძენას.

სოფო, გოჩა სვანიძეები, ვახტანგ ომანაძე ოჯახებით.

---

თინა, ტიტიკო კოპალიანებს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

მაუვალა, ვამია დაშნიანები, ნუნუ, გურამ ჩარკვიანები.

---

ნატო ფოჩხიძეს
გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთი იყოს თქვენი ოჯახის მფარველი.

ნანა და მედიკო მეშველიანები.

---

ბუჭუ შკუბულიანის ოჯახს
გილოცავთ მარიამის დაბადებას. ღმერთმა გაგიზარდოთ

რუბენ დავითულიანი ოჯახით.

---

თინა, ტიტიკო კოპალიანებს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

რუბენ ჩაკვეტაძე ოჯახით.

---

ლელა ჭაბუკიანს, შერეადინ ონიანს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი.

---

ხსოვნა

## ზურაბ (ზურიკო) კაჭეჭია

სულ რამდენიმე წელია, ჩვენი სოფლის სიძე გახდი, ზურიკო, მაგრამ ამ მოკლე ხანში ძმასავით შეგიტკბეთ და შეგიყვარეთ. რა უეცრად გამოგვგლიჯა სიკვდილმა ხელიდან შენი სიცოცხლე, რა მტრობამ... სიკვდილმა... მამულისათვის ბრძოლამ შეიწირა შენი ახალგაზრდული, ღიმილიანი სიცოცხლე. ძიძხანს გელოდნენ შენი მეგობრები! და... უსურავი იმედით... იქნებ გადარჩაო, მტრებს — 9 დღის მერმეც ტამიშის გზაზე გიპოვეს მკვდარი.

ობლად გაზრდილ ბიჭს ძლივს ნაპოვნი სიხარული და სიამტკბილობა ჩაუმწარეს. ალბათ უკანასკნელად იმის გაფიქრებაზე მოასწარ მარინე და ვანო გადაურჩინეო აფხაზ მკვლელებს, ნატვრა აგიხდინა უფალმა! ზურიკო, ისინი ცოცხალი არიან და თუმცა მარინეს უშენოდ სიცოცხლეც არ სურს, თქვენი ვანიკოს, შენი სისხლის და გენის გულისათვის ებრძვის ამ გამწარებულ წუთისოფელს. დღემუდამ შენს დაკარგულ ღიმილს და ეძებს შენი ცოლ-შვილი, ...ირიკო, დაგეძებთ ჩვენც, შენი ახლობლები. გვენატრება შენი სტუმრობა, შენი აატება დაგვდევს ყველგან, ყოველთვის.

უშენოდ მოვიდა და უშენოდ წავა ეს გაზაფხული, შენს ხსოვნას კი სამარადჟამოდ შეინახავს ჩვენი გული.

სოფელ გვესოს ახალგაზრდები.

---

## კახა ფუტკარაძე, არჩილ ბაკურაძე

ბიჭებო, უთქმელოდ მოვიდა გაზაფხული, უთქვენოდ აყვავდნენ თეთრად ხეები იტირეს თქვენს საფლავებზე იებმა...

ბიჭებო, უთქვენოდ დადგა გაზაფხული...

სული უსაშველო ტკივილებით ავსებულა და გვენატრებით, ძალიან გვენატრებით.

თურმე რა ბედნიერები ვიყავით ერთად. ახლა კი რაღაც დავკარგეთ, დიდი და დაუბრუნებელი.

როგორ გვიყვარდა ერთმანეთი! თვალცრემლიანი მოვდივართ თქვენს სურათებთან კახა! აჩიკო! თქვენ ხომ გამორჩეული ბიჭები გვყავდით — მაღლები, ლამაზები, საყვარლები და ბედმაც ამიტომ გამოგარჩიათ.

ტაბიანა გებიას ცივალებში ველარ ვუყურებთ, აჩიკო! ...ილი ტკივილის გვეშინია, იქ რომ საპლოგს და ჩვენს გულებშიც.

კახა! დაბადების დღე გადაიხადეთ 9 აპრილს. თბილისიდანაც გეწვივნენ შენი თანაკურსელები. სურათის პირისპირ ვიჯექით გესაუბრებოდით, ბიჭო, ... ... შენ კი ალბათ შენს საამაყო მამასთან ერთად იჯექი სადღაც და გვისმენდი, ოდესღაც გამოზრდილო ლამაზო ბიჭო!

ერთად რომ შევიკრიბებით, ბიჭებო, მაშინ უფრო ცხადად! ვგრძნობთ, როგორ გვაკლია თქვენი ...ხვეწილი ხუმრობა, ლამაზი ღიმილი, სილაღე, სითბო და გულე... გვეკუმშება. ალბათ ვერასოდეს შევძლებთ ... და ვიწყებას.

და თუ სიკვდილი მხოლოდ გადასვლაა ბნელიდან ნათელში, ალბათ ოდესღაც ჩვენც შევხვდებით ერთმანეთს — თქვენ, 19 წლის ბიჭები და ჩვენ თმაჭაღარა ქალები და კაცები.. და ჩვენ გიამბობთ, როგორ ვიცხოვრეთ ამქვეყნად უთქვენოდ..

ახლა კი თქვენი მონატრების მეტი რაღა დაგვრჩენია ჩვენო ლამაზო მეგობრებო!

თანაკლასელები.

---

## ჯაბულ ქორას ძე მუშკუდიანი



სიტყვა უძლურია იმ დიდი ტკივილის გადმოსაცემად, შენმა წასვლამ რომ დაგვიტოვა. გიგონებთ შვილო,

როგორც შორს წასულს, ისევ რუსეთში გვგონიხარ.

ადამიანმა სხეულისა და სულის გაყრას გარდაცვალება უწოდა. იმასაც ამბობენ, სული მაღლა, ზეცაში მიილტვის და იქ სახლდებაო ფარსკვლავისსახით. ჩვენ ვიცით — შენი სული ჩვენ დაგვტრიალებს, ჩვენთანაა მარადჟამს რელად.

23 აპრილს დაბადების 31 წლისთავს მოგილოცავთ წმინდა სანთლებს ავანთებთ, ცრემლებით და ყვავილებით მოგირთავთ შენს წმინდა სამყოფელს. ღმერთს ვევედრებით, რომ მუდამ ნათელში ამყოფოს შენი ალალი სული.

დედ-მამა, დედმამიშვილები.

---

## მალხაზ გურამის ძე მახარობლიძე

ორი წლის წინ 30 წლის ასაკში დასრულდა შენი ამქვეყნიური ცხოვრება, საყვარელო შვილო, სიტყვებს ვერ ვპოულობთ უშენობით გამოწვეული ტკივილისა და სევდის გამოსახატად. შენს ლანდს ეძებს შენი ტანჯული დედ-მამა. საყვარელი მეუღლე და ოთხი შვილი. შენი გამზრდელი მოხუცი ბებია და ერთადერთი და. შენი სითბო და ყურადღება გვაკლია ყველას შენს ოჯახში. შენს სითბოს ვეძებთ ყველგან, მაგრამ ამაოდ — ვერ ვპოულობთ.

რა ღირსეული, მეუღლე, მამა და შვილი იყავი, როგორ გაგვამწარე ჩემო მხიარულო, ყოველთვის ღიმილიანო ბიჭო. ორი წელია რაც შენს ოჯახში მწუხარება და სევდა გამეფდა. მეორედ ვხვდებით შენი დაბადების დღეს — 16 აპრილს უშენოდ, ჩემო ლამაზო ბიჭო, ვერაფერს ვერ გიკეთებთ შვილო გარდა იმისა, რომ მოვლენ შენს საფლავთან შენი ოთხი შვილი თაიგულებით და მოგილოცავენ დაბადების დღეს შენს ნატვრაში სულამოხდილი

შენი დედა, შენი ოჯახი.

---

ცაგერის რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულო ომანაძეს დეიდის

ნადია გოლეთიანის

გარდაცვალების გამო.

---

დაზღვევის ფირმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაური ბენიძეს ბიძაშვილის და ციცინო გოგოხიძეს ბიძის

მიშა ბენიძის

გარდაცვალების გამო.

---

ბარდნალის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ კახა, ლევან უგრეხელიძეებს, ხათუნა მეშველიანს, ბიძისა და მამიდაშვილის

გივი გენდელიანის

და დათო თუთისანს დეიდის

სულიკო სილაგაძის

გარდაცვალების გამო.

---

ბუჭუ ოქროპირიანი. ანზორ, თემურ ბენიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

მიშა ბენიძის

გარდაცვალების გამო.

---

დები გლაშა, ანეტა, მერი, თალიკო, სულიკო და უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნონა ალექსანდრეს ასული ახვლედიანი-ხუბუკელაშვილი

---

თანაკლასელები ირმა ლიპარტელიანი, გულთამზე შკუბულიანი, კახა ფრიდონ გასვიანები, რამაზი გენდელიანი თანაუგრძნობენ ნონა გენდელიანს დედის

სულიკო სილაგაძის

გარდაცვალების გამო.

---

გივი მინდაძე, მამუკა ახვლედიანი, შამილ ნემსწვერიძე ოჯახებით იუწყებიან

მედიკო ჩორგოლიანის

გარდაცვალებას.

---

გალაქტიონ მანდარია, დავით ყურაშვილი, ვალოდია ხეცურიანი, ოლია კვირკაშვილი, გიური გერუჩაშვილი, დათო სალინაძე, იური ჩხეტიანი ოჯახებით იუწყებიან

თენგიზ ვალიკოს ძე

ჩაკვეტაძის

გარდაცვალებას.

---

დამფუძნებელი — რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონი 23-31.

ცაგერის რაიონული სტამბა